# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 270. | კვირა, 14 ნოემბერი 1904 წ. | გაზეთის № 2670.

## ლოტბარი და მაწანწალა

კომედია ერთ მოქმედებად, გრიგოლ გესი.

**მოქმედნი პირნი:**

გელიკონოვი—ლოტბარი.
სტეფანიდა—ფოსტალიონის ქალი, ხნიერი, გაუთხოვარი.
ბეზიმიანკა—მაწანწალა.

ღარიბი ოთახი. ფანჯრიდან ბაღი მოსჩანს. მარჯვნივ კარები, პიანინო ან ფისჰარმონი: მარცხნივ შირმა, შირმის უკან კამოდი და კროატი. ფანჯარასთან დივანი და სტოლი, ზედ საუზმე. საღამოა.

გამოსვლა პირველი

სტეფანიდა (სტოლზე ალაგებს), გელიკონოვი (შემოდის).

**სტეფანიდა.** ლუდი გავხსნა?

**გელიკონოვი.** არა... დივნის ქვეშ შედგი. შეიძლება სკორლუპენკომ დაიგვიანოს.

**სტეფ.** ტყუილად ელოდებით... თქვენთან რომ ქათამი მომქონდა, იმის ცოლს შევხვდი... ისეთი გაწითლებული იყო, როგორც ჭარხალი... უთუოდ თავისი ქმარი მიზეგვა და ეხლა სულ წევს და შუშდება...

**გელიკ.** სწორედ ალქაჯია ის დედაკაცი.

**სტეფ.** თქვენი ოპერა ხომ სრულებით არა სწამს... „ვით, რაც ოპერაა! ფულის მახეა, სხვა არაფერიო“...

**სტეფან.** ივან მატვეიჩ, ჩქარა გაათავებთ იმ რაღაც ოპერას? დიდხანს კი გაგრძელდა...

**გელიკ.** ეგ სულ სკორლუპენკოს ბრალია... აგრე თავის დღეში არ გათავდება... ეხლა აქლემების ხოროზე გავჩერდით... განა მე არ დავიტანჯე?.. მაგრამ დღემდის მოგითმენიათ, ცოტაც მოითმინეთ... სამაგიეროდ, როცა პეტერბურგში გავგზავნით და ჩვენი სახელი მთელ რუსეთს ელვასავით მოედება, აი, მაშინ ნახავ რამდენ ოქროებს ჩავიჩხრიალებთ... „ზანგების დედოფალი“... „ზანგების დედოფალი“-ო, დაიწყებენ ლაპარაკს... ვინ შეთხზა?—ლოტბარმა გელიკონოვმა და სუფთა წერის მასწავლებელმა სკორლუპენკომ... ეჰ, თქვენ რა გესმით?!.. ეს ოპერა სულ უკანასკნელ მოდაზეა... დეკადენტურ გემოვნებაზე.. სირაქლემების ხორო... აქლემების ხორო.. ზანგები თავს ესხმებიან ევროპიელების ქარავანს... უდაბნოები, სიცხე, მტვერი, ქარიშხალი, ჰექა-ქუხილი!... აი, როცა მთელ ევროპაში ცნობილი კაცი შევიქნები, მაშინ ჯვარიც დავიწეროთ, თორემ ეხლა რა სისულელეა მშივრები გავამრავლოთ... ქათმისთვის მაინც და მაინც გმადლობ... სკორლუპენკოს ძალიან მოსწონს ქათამი ბრინჯით... მაინც იმის ავადმყოფ კუჭს ძალიან მოუხდება ამისთანა მსუბუქი საჭმელი...

**სტეფ.** თითონ ჩემის ხელით გავაკეთე... მართლა, დროა წავიდე.—მამაც მოვიდოდა... იმასაც უნდა ცხელი საჭმელი ვაჭამო... ნახვამდის, ივან მათვეიჩ!..

**გელიკ.** გზა მშვიდობისა, სტეფანიდა სავიშნა... მამა თქვენი მომიკითხეთ... ფიქრი ნუ გაქვთ, ჩემი თქვენდამი გრძნობები, როგორც ზაფხულის სიცხე, ისე მატულობს... მოვრჩები თუ არა ზანგების დედოფალს...



ომში წამსვლელნი.—სურათი სავიცკისა

**გელიკ.** სულელი, ბრიყვი!.. სკორლუპენკო ხომ ლექსებს შინა სწერს?.. ვერ წაიკითხავს და ვერ გაიგებს რაშია აქშე?.. ვთქვათ მუსიკას ვერ გაიგებს, მაგრამ სიტყვებს ხომ მისი ქმარი სწერს?!

**სტეფ.** იჰ, კარგია ერთი... დაწოლის დროს ფანჯარა დაჰკეტეთ... გაიგეთ, ნავთსადგურში ვიღაც დედაკაცი მოუკლავთ?

**გელიკ.** მართლა?



ომის ამბები.— სურათი ვასნეცოვისა.

**სტეფ.** მაშა... მკვლელიც გაქცეულა... უთუოდ ვინმე მაწანწალა იქნებოდა... ამ ბოლო დროს იმდენი მოეთრიენ ის შეჩვენებულები, რომ შიშისაგან ვცახცახებ, როცა ბნელ ღამეში მარტო მივდივარ... ძალიან ყრუ ადგილას-კი სცხოვ-რობთ...

**გელიკ.** ნება მიბოძეთ, გაგაცილოთ...

**სტეფ.** რასა ბრძანებთ, რა საჭიროა... თქვენს თავს გაუ-ფრთხილდით... ფანჯრის დაკეტვა არ დაგავიწყდეთ... მშვი-დობით ..

**გელიკ.** ჰა, ჰა, ჰა... ჩემ გასაძარცვად ტყუილად დროს ვინ დაჰკარგავს?.. ზარალის მეტს რა სარგებლობას ნახავს?.. (სტეფანიდას კარებში გაატილებს. სცენა ცარიელია. ფანჯარაში გამო-ჩნდება ბეზიმიანკა; გაფაციცებით და თვალხარბად ოთახს ათვალიე-რებს; ფეხის ხმას რომ გაიგონებს—იმალება).

**გელიკ.** (შემოდის, დადის და მღერის) „აღარ მოდის სკო-რლუპენკო“... (ფანჯარაში გაიხედავს) „აღარ მოდის სკორლუ-პენკო, აღარა“.. (პიანინოსთან გაჩერდება) აბა ერთი „აქლე-მების ხორო“ ვსინჯოთ... (ჯდება და უკრავს რაღაც ვალსს) ეშმაკმა იცის, აქლემს როგორი ხმა აქვს... „აღარ მოდის სკორლუპენკო“... (აკორდს აიღებს).

**ბეზიმ.** (გამოჩნდება ფანჯარაში. ხელში მოკლე რკინა უჭი-რავს; ფრთხილად გადმოიღებს ცალ შიშველ ფეხს ფანჯრიდან და დივანზე დასდგამს; გელიკონოვს თვალს არ აშორებს, რომელიც მისკენ ზურგით ზის.)

**გელიკ.**—(ერთბაშად რაღაც ტკბილ ჰანგს მღერის).

**ბეზიმ.**—(გარინდდება და ყურს უგდებს; მერე ფანჯარაზე ჩამოჯდება და ცალ ხელზე თავით დაეყრდნობა).

**გელიკ.** (სიმღერას გაათავებს და მობრუნდება. ბეზიმიანკას შეხედავს) სკორლუპენკო!..

**ბეზიმ.** (დივნიდან ფეხებს აიღებს) ტკბილადა მღერით, ბატონო... მხოლოდ მე სკორლუპენკო-კი არ ვარ...

**გელიკ.** ვინა ხარ? რა გინდა აქა? (უკან დაიწევს).

**ბეზიმ.** თქვენის ხმის გასაგონად მოველ... შემოვიხედე ფანჯარაში: ვხედავ, სტოლზე ძეხვი, არაყი, ფულია... ვიფი-ქრე, მოდი ვთხოვ ამ ბატონს ძეხვსა და პურსა მეთქი... თქვენ—კი ისე ტკბილადა მღეროდით, რომ შიგ გულში მომ-ხვდა...

**გელიკ.** შენ ჰეი, ოქროს რაზმიდან *) ხომ არა ხარ?

**ბეზიმ.** თუნდაც „სპილენძის“ ან „რკინის რაზმიდან“ ვიყო... საქმე ეგ-კი არ არის... მშვენივრად მღე-რით, ბატონო... დიდი ხანია არ გამიგონია.

**გელიკ.** ეგ რა გაქვს ხელში?

**ბეზიმ.** (რკინას აიღებს). ესა? რკი-ნის ურო... მე მუშა კაცი ვარ... საცა წავალ, ჩემი ხელსაწყო თან დამაქვს...

**გელიკ.** სადაური ხარ, კაცო, ვინა ხარ, რა კაცი ხარ?

**ბეზიმ.** მე? ადამიანი ვარ...

**გელიკ.** რა გიყო ეხლა მე შენ? პოლიციელს დავუძახო თუ?!.

**ბეზიმ.** პოლიციელსაო? რათა? განა ცუდს რასმე ჩავდივარ? მე თითონ წავალ.—გმადლობთ, ძველი დრო მომაგონეთ... მშვენივრათ მღერით... გმადლობთ!.. თუმცა მშიერ კუჭს რა ემღერება, მაგრამ მაინც კარგი იყო...

**გელიკ.** განა მშიერი ხარ?

**ბეზიმ.** ორი დღეა წყალის მეტი პირში არაფერი ჩა-მიშვია... რას იზამ?.. მუშაობა აღარ არის... ყველგან გვდევ-ნიან... სამუშაოს არ გვაძლევენ. არც ნავთსადგურში, აღარც ქარხნებში... რა თქმა უნდა, მოგშივდება... ეხლა დონზე ვა-პირებ, მადნებში... მაგრამ არ ვიცი, მივახწევ თუ არა?!.. (წასვლა უნდა)

**გელიკ.** გინდა ძეხვი მოგცე?

**ბეზიმ.** ძალიან კარგს ინებებთ...

**გელიკ.** (ძეხვს მოჭრის, გაახვევს პურში და მისცემს).

**ბეზიმ.** (დახედავს) კარგია!.. ეჰ, ეხლა ამაზედ არაყი... რა კარგია!..

**გელიკ.** შენ, როგორც გეტყობა, ძალიან ურცხვი სტუ-მარი ყოფილხარ... აჰა, დალიე, ეშმაკმა გზიდოს... ჰო, ხომ არ გინდა მანდ მოგერთვას?! აქეთ მოდი...

**ბეზიმ.** (მიმოიხედავს) სკორლუპენკო?

**გელიკ.**—სჩანს არ მოვა... რისა გეშინიან, რახან გე-უბნები—მოდი... აქ მარტოკა მე ვარ... მხოლოდ ეგ შენი იარაღი მანდ დასტოვე.

**ბეზიმ.** (რკინას გარედ დასტოვებს და ფანჯარიდან ჩამოხ-ტება).

**გელიკ.** შენა სთქვი, კარგადა ვმღერი?

**ბეზიმ.** მშვენივრად...

**გელიკ.** მაშ მეც დავლევ... (დაასხამს) იცოცხლე!..

**ბეზიმ.** (სახეს დამანჭავს და გადაჰყლაპავს. ხარბად იღუკ-მება. ქარი ფანჯრის ჩარჩოებს არხევს, სტოლზე ლამპა ბჟუტავს).

**ბეზიმ.** (დაღონებული) შუშა გამქვარტლიანდა...

**გელიკ.** (ლამპას შეანძრევს) ჰქრის... (ორივენი უხერხულად არიან) თითოც დავლიოთ?

**ბეზიმ.** დავლიოთ. (სვამენ) სკორლუპენკოს არ ეყოფა...

**გელიკ.** არ მოვიდა და ჯანდაბას იმისი თავი... რახან ეგრეა, ჩემო ძმაო, მოდი ბარემ დაჯექ... უთუოთ სიმშილი-საგან ფეხები დაგისუსტდებოდა?..

**ბეზიმ.** რასაკვირველია... ძარღვები დამისუსტდა...

**გელიკ.** აი, ეხლავ გაგიმაგრებ ძარღვებს... აბა, აფორ-თხდი დივანზე... ვითომ რატომ არ მიგიღო ისე, როგორც კარგი სტუმარი?!. (მხიარულად) მე ხომ შენ არ გიცნობ... იქნება პრინციც იყო? ჰა, ჰა, ჰა...

**ბეზიმ.** პრინცი... მხოლოდ სხვა მხრით... ეჰ, ჩვენი საქმე წასულია... მორჩა!.. (თვრება)

**გელიკ.** ტყუილად, ტყუილად ეძლევი სასოწარკვეთილე-ბას... მომავალი მარტო ღმერთმა უწყის... დაჯექ...

---

*) ოქროს რაზმს მდაბიურად პატიმართა გამასწორებელ რაზმს უძახიან.



თავ. გიორგი დავითისძე ამილახვარი,
მსუბუქად დაჭრილი 6 ღვინობისთვეს შახესთან.

ბეზიმ. (შარვალს აიწევს, დაჯდება და მორცხვად თმებს გაისწორებს).

გელიკ. დადე ეგ ქუდი, ნუ გეშინიან, არსად გაიქცევა... მოდი ეხლა ვივახშმოთ... სკორლუპენკო უთუოდ ცოლმა არ გამოუშვა... მე და სკორლუპენკო „ზანგების დედოფალს“ ვამზადებთ...

ბეზიმ. როგორ თუ ამზადებთ?... რასა?

გელიკ. ოპერას ვამზადებთ... აბა, შენ ერთი აქ შემოჰხედე, რა არის? (ახდის თეფშს, რომლის ქვეშაც თეფშზე ქათამია)

ბეზიმ. (ტუჩებს ილოკავს). დიდებულია...

გელიკ. მა'შ როგორ გეგონა?.. ეს სტეფანიდამ მოიტანა, გაიგე?

ბეზიმ. როგორ არა, გავიგე...

გელიკ. ვჭამოთ!.. შენ რა გქვიან?

ბეზიმ. მე? ბეზიმიანკა... თქვენა?

გელიკ. მე ივან გელიკონოვ... აი, კიდეც გავიცანით ერთმანეთი... ეხლა დავლიოთ... (სვამენ. ქათამსა სჭრის) ეჰ, დანა არ სჭრის...

ბეზიმ. ჩემი დანით დასჭერით... კარგი მჭრელია... (ამოიღებს უბიდან ჩვარში გახვეულ დანას).

გელიკ. (პირს უსინჯავს) უჰ, შე ღვთის მტერო, ეგ ხომ სამართებელია...

ბეზიმ. დანა იმიტომ არი, რომ გასჭრას.

გელიკ. მართალი ხარ... კიდე დავლიოთ?... ქათამზე?!.

ბეზიმ. თავში მივარდება...

გელიკ. არა უშავს რა... ეგ შიმშილისაგან მოგდის... მერმე ლუდი დავლიოთ ან ჩაი... რომელი სჯობიან?

ბეზიმ. ლუდი სჯობიან...

გელიკ. კეთილი... აბა, მიირთვი, ცოტა ღონეზე მოხვალ. (ჩუმად სჭამენ. გელიკონოვი ლუდის ბოთლს გახსნის. ბეზიმიანკა მიაწვება ზურგით დივანს და მეტის სიმაძღრისაგან ძლივსღა სუნთქავს).

გელიკ. (ლუდს დაასხამს) რაო, გაძეხი?

ბეზიმ. გავძეხი...

გელიკ. ხომ არ [illegible]?

ბეზიმ. არა, ცოტათი დავსუსტდი...

გელიკ. მაშ კმაყოფილი ხარ?

ბეზიმ. გმადლობთ, ბატონო, ყველაფრით კმაყოფილი ვარ...

გელიკ. ეხლა მოვსწიოთ... (პორტსიგარს აწვდის) აიღე...

ბეზიმ. (აიღებს პაპიროზს, მოუკიდებს და ერთბაშად სიმღერას დაიწყებს) „აღარ მოდის სკორლუპენკო“...

გელიკ. (გაკვირვებული) ეჰე, მღერი კიდეც?

ბეზიმ. ვმღეროდი ოდესმე... ეხლა კი... სადღა არი ხმა ან გული ჩვენი. არაფერი არ მენანება: ადამიანობა, გული და ხმაც დაიმარხა...

გელიკ. აბა, ერთი იმღერე რამე...

ბეზიმ. (ფიქრის შემდეგ ხრინწიანის ხმით მღერის):

> ჩემი სატრფოს ბეჭედი
> ზღვაში გადამივარდა,
> და მასთან ჩემი ბედი...

და სხვა და სხვა... ეჰ, სადღა არი ხმა!..

გელიკ. (ყურს უგდებდა) გაჰქრა, არა?.. ლოთობისაგან განა?

ბეზიმ. რის ლოთობა!.. მე ძალიან ცოტასა ვსვამ... გავცივდი... სამი წელიწადი დნეპრზე ტივებს ვატარებდი. დაბლა წყალი, მაღლა წყალი..- ქარი, თოვლი, სიცივე... საკვირველიც არ არი... დადიხარ შიშველი: რა თქმა უნდა, უკანასკნელი სისხლის წვეთიც გაგეყინება... ეჰ, ჩემო ბატონო; აი, თქვენა მღეროდით კარგათა... შიგ გულში გამიარა...

გელიკ. (თავის ქნევით). მოხდება ხოლმე... ხადახან გრძნობით ვმღერი... შენ ეკლესიაში მოდი და იქ გაიგონე როგორ ვმღერი... მე აქ კი არა, პეტერბურგში უნდა ვიყო... და ვიქნები კიდეც... ცოტა დამაცადე, „ზანგების დედოფალი“ გავათავო; მაშინ ვაჩვენებ იმათ, ვინცა ვარ... დალიე... (ჭიქებს დააჯახებენ და დალევენ) ეხლა ეს მითხარი, კეთილო კაცო, რა გქონდა გულში, როდესაც აიმ ფანჯარაზე იჯექი?

ბეზიმ. (წარბშეკვრით) ნუ მეკითხებით... ვინ იცის, რა არ მოხდება ხოლმე...

გელიკ. ოჰოო!.. (სკამს მისწევს და თვალებში მიაჩერდება) მაშა... ღმერთმა დამიფარა რაღა?

ბეზიმ. (აღელვებული) არა, ღმერთი აქ არაფერ შუაშია. (პაუზა) ეჰ, ჩემო ბატონო, სტეფანიდას შენთან ქათამი



გადასახადი თვის მოვიდა. — სურათი ორლოვისა.

მოაქვს და მე კი ამისთანა სტეფანიდა თხუთმეტი წელიწადია რაც არა მყავს... განა შენ, მაძღარს, შეგიძლიან წარმოიდგინო ჩემი მდგომარეობა?!. მე ეხლა თავისუფლებაც მომბეზრდა, ან რა ჰყრია შიგა?.. საცა მინდა, იქ წავალ...

გინდა გამასწორებელ რაზმში, გინდა კამჩატკაზე... რა მრჩება უკან?... რა უნდა მენანებოდეს... ორჯელ ჯამოვიქეცი, მესამედაც გავიქცევი. მე ეხლა გაბრაზებული ვარ, ძმაო, მხეცზე უარესად...

**გელიკ.** (კიდევ ახლოს მიიწევს) სიყვარულით ხომ არა?..

**ბეჩიმ.** შესცდი!.. სიყვარული ათი წელიწადია დავმარხე... არც მენანება... ხომ ნახე რკინის ურო? აი, სწორედ მაგ უროთი გავუპე თავი მოხუც დედაკაცს თვრამეტი შაურისათვის... მაგრამ არაფერი... არ შემცოდებია...

**გელიკ.** (უკან დაიხევს) ოჰ, შე ვერაგო, შენა!

**ბეჩიმ.** მართალი ხარ... თუმცა შენ ეხლა პატივი მეცი, მასიამოვნე და მომარბილე კიდეც, მაგრამ შენა გგონია დიდხანს დამახსოვდება! ხვალვე ვისმეს თავს გავუტეხ... ყველას თავისი გზა გააჩნია... მე გამასწორებელ რაზმში უნდა ვიყო და შენ კი ოპერები სწერო... თავიდანვე არ გამოვეტყორცნე ამ გზაზე ჩემს ბედს, ვინ იცის, იქნება შენზე უკეთესიც ვყოფილიყავი... ეგრეა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს...

**ვ. შალიკაშვილი**

(შემდეგი იქნება)




გლეხი. მიშველეთ, ვიხრჩობი ვალების მორევში!..
— მოითმინე, მოიცადე, მოგეშველებიან!




ტფილისის ფოსტა. საამანათო განყოფილება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი